გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 849

უშიშროების საბჭომ,

განიხილა რა გენერალური მდივნის 1993 წლის 1 ივლისის მოხსენება (S/2603 და add.2), ეყრდნობა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1992 წლის 10 სექტემბრის, 1992 წლის 8 ოქტომბრის და 1993 წლის 29 იანვრის განცხადებებს აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, მდგომარეობის მიმართ (S/24542, S/34637, S/25198),

ეყრდნობა 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმებას (S/24523),

იწონებს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისათვის გენერალური მდივნის 1993 წლის 5 მაი-სის წერილში (S/25756) გადმოცემულ მიდგომას,

შეშფოთებით აღნიშნავს ახლახანს სოხუმის ირგვლივ საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებას და ადასტურებს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1993 წლის 2 ივლისის განცხადებას (S/26032), რომელშიც, კერძოდ, ყველა მხარეს მოუწოდებს დაიცვან 1993 წლის 14 მარტის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ხაზს უსვამს რა იმ მნიშვნელობის, რომელსაც იგი ანიჭებს სამხედრო მეთვალყურეთა განლა-გების კონტექსტში ცეცხლის შეწყვეტის და სამშვიდობო პროცესის არსებობას და განხორციე-ლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანი მონაწილეობით,

1. კმაყოფილებით იღებს ცნობად იმ შენიშვნებს, რომელთაც შეიცავს გენერალური მდივნის მოხსენება;

2. სთხოვს გენერალურ მდივანს რეგიონში მიავლინოს თავისი სპეციალური წარმომადგენელი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების განხორციელების მიღწევაში დასახმარებლად და დაუ-ყონებლივ შეუდგეს აუცილებელ მოსამზადებელ ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის, კონტაქტების დამყარებას იმ წევრ-სახელმწიფოებთან, რომელთაც შეუძლიათ მეთვალყურეთა წარ-დგენა და და რაიონში დაგეგმვის ჯგუფის გაგზავნა, რაც დაკავშირებულია საქართველოში 50 სამხედრო მეთვალყურის წარგზავნასთან, როგორც კი განხორციელდება ცეცხლის შეწყვეტა;

3. სთხოვს შემდეგ გენერალურ მდივანს აცნობოს საბჭოს _ მის მიერ გადაწყვეტილების მისა-ღებად _ იმის შესახებ, თუ როდის განხორციელდა ცეცხლის შეწყვეტა, და, მისი აზრით, რო-დის შეიქმნება პირობები დამკვირვებელთა განლაგებისათვის, ამ ეტაპზე მათ მანდატთან დაკავში-რებული რეკომენდაციების მისაღებად და აცხადებს მზადყოფნას ოპერატიულად მიიღოს ზომები ასეთი უწყების მიღებისთანავე;

4. მიესალმება ამ კონტექსტში გენერალური მდივნის ძალისხმევას, რათა დაიწყოს სამშვიდო-ბო პროცესი კონფლიქტის მონაწილე მხარეეებისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის, რო-გორც ხელშემწყობი მხარის, მონაწილეობით;

5. მხარს უჭერს გენერალური მდივნის თანამშრომლობას ევროპაში უშიშროებისა და თანამშ-რომლობის თათბირის მოქმედ თავმჯდომარესთან რეგიონში მშვიდობის დამყარების საქმეში;
6. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გაეროსთან ერთად დაუყონებლივ შეუდგეს ძალ-თა სტატუსის შესახებ შეთანხმების განხილვას, რათა ხელი შეუწყოს დამკვირვებელთა უსწრა-ფეს განლაგებას მას შემდეგ, რაც საბჭო მიიღების გადაწყვეტილებას ამის შესახებ;

7. იღებს გადაწყვეტილებას კვლავ აქტიურად იმუშაოს ამ საკითხზე.

9 ივლისი, 1993